სემიარიდული ლანდშაფტების ფორმირების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები და აგროეკოლოგიური პრობლემები

მარიამი ზაქაიძე

ელ-ფოსტა: mariami.zakaidze614@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი, 0179 საქართველო

ანოტაცია

. ბუნებაზე ანთროპოგენური ზემოქმედების საკმაოდ მაღალი ხარისხით გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო , კერძოდ, სამიწათმოქმედო (აგრო) ლანდშაფტები, რომელიც აძლიერებს ზედაპირულ და ხაზობრივ ეროზიას, ნიადაგის დეფლაციას. ხელს უწყობს ტერასული საფეხურების გამარტივებას, ეგზოდინამიური პროცესების გააქტიურებას და სხვ. სადიპლომო ნაშრომიც სწორედ ამ აქტუალურ და პრობლემურ თემას შეეხება, კერძოდ, სემიარიდული ლანდშაფტების ფორმირების განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს და მასთან დაკავშირებულ აგროეკოლოგიურ საკითხებს, გარე კახეთის რეგიონის მაგალითზე.

ნაშრომში საკმაოდ დეტალურად იხილება ზოგადად, როგორც აგროლანდშაფტების არსი და მისი ადგილი ანთროპოგენური ლანდშაფტების სისტემაში, ისე გარე კახეთის რელიეფის, ნიადაგწარმომქმნელი ფაქტორების და სემიარიდული ლანდშაფტების აგროეკოლოგიური შეფასება და მდგრადობა; ანთროპოგენური ზემოქმედების მიმართ აგროლანდშაფტების რეაქცია და და სხვ. თანამედროვე აქტუალური საკითხები.